პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 57 (9525) | კვირა, 8 მარტი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ჩვენი პარტიისა და ქვეყნისათვის ამ ძნელ დროს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ უზრუნველყონ ჩვენი ქვეყნის მთელი ცხოვრების შეუფერხებელი და სწორი ხელმძღვანელობა, რაც თავის მხრივ მოითხოვს ხელმძღვანელობის უდიდეს დარაზმულობას, რაიმე დაბნეულობისა და პანიკის არდაშვებას, [illegible] უთუოდ უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკის წარმატებით განხორციელება როგორც ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში, ისე საერთაშორისო საქმეებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომის დადგენილებიდან.

# იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი



## უდიდესი დარაზმულობა და ერთიანობა

დღეს ქვეყნდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომის დადგენილება. ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დოკუმენტს ერთსულოვნად მოიწონებენ პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი.

მძიმე გლოვის დღეებში, როცა აღარა გვყავს ჩვენი დიდი ბელადი და საყვარელი მასწავლებელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, პარტია და ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, — ნათქვამია დადგენილებაში, — ჩვენი პარტიისა და ქვეყნისათვის ამ ძნელ დროს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ უზრუნველყონ ჩვენი ქვეყნის მთელი ცხოვრების შეუფერხებელი და სწორი ხელმძღვანელობა, რაც თავის მხრივ მოითხოვს ხელმძღვანელობის უდიდეს დარაზმულობას, რაიმე დაბნეულობისა და პანიკის არდაშვებას, რათა ამრიგად უთუოდ უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკის წარმატებით განხორციელება როგორც ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში, ისე საერთაშორისო საქმეებში“.

ეს პოლიტიკა, რომელიც შეიმუშავეს პარტიამ და მთავრობამ, შეესაბამება ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს და მისი უსაზღვრო მხარდაჭერით სარგებლობს. საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია თავისი მშობლიური პარტიისადმი მხურვალე სიყვარულით, რადგან იცის, რომ მისი მთელი მოღვაწეობის უმაღლესი კანონია ხალხის ინტერესებისადმი სამსახური.

ჩვენი პარტიის პოლიტიკის სისწორე შემოწმებულია ათეული წლების ბრძოლით. პარტიის პოლიტიკამ უზრუნველყო სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი სსრ კავშირში. განუხრელად ახორციელებენ რა ამ პოლიტიკას, საბჭოთა კავშირის ხალხები, პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით კომუნისტური მშენებლობის ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ.

„ჩვენი ძლევამოსილი სამშობლო, — ამბობდა ამხ. გ. მ. მალენკოვი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე, — რომლის ძალები იფურჩქნება, მიდის ახალი წარმატებებისაკენ. ჩვენ ყველაფერი გვაქვს, რაც საჭიროა სრული კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. საბჭოთა ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი დაუშრეტელია. ჩვენმა სახელმწიფომ დაამტკიცა თავისი უნარი გამოიყენოს ეს უდიდესი სიმდიდრენი მშრომელთა სასარგებლოდ. საბჭოთა ხალხმა ცხადყო თავისი უნარი ააშენოს ახალი საზოგადოება და რწმენით შეჰყურებს მომავალს.

საბჭოთა კავშირის ხალხებს სათავეში უდგას ბრძოლებში ნაცადი და გამობრძმედილი პარტია, რომელიც განუხრელად ახორციელებს ლენინურ-სტალინურ პოლიტიკას“.

პარტიის გეგმები მომავლისათვის, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი წინსვლის პერსპექტივებსა და გზებს, ემყარება ეკონომიკური კანონების ცოდნას, ემყარება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მეცნიერებას, რომელიც ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია მოსახლეობის ყველა ფენის — მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. ჩვენს ქვეყანაში მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდა, მისი მუდმივი სრულყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე ექვემდებარება საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. ასეთია სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, რომელიც ამხანაგმა სტალინმა აღმოაჩინა, და პარტიისა და მთავრობის მთელი მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის დარგში ამ კანონის მოთხოვნებს ემყარება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მთელი სიმტკიცით და თანმიმდევრობით ახორციელებენ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პოლიტიკას, ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკას, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას. ასეთია ჩვენი საგარეო პოლიტიკა — და ეს პოლიტიკა ურყევია! იგი გამომდინარეობს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს თვით არსიდან, გამომდინარეობს ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სოციალისტური იდეოლოგიიდან, რომელიც გაბატონებულია ჩვენს ქვეყანაში. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშისადმი ერთგული სსრ კავშირის ხალხები ავითარებენ და განამტკიცებენ ძმურ მეგობრობას დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებთან, მეგობრულ კავშირს კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელებთან, რომლებიც მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის იბრძვიან.

ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლო მთელ მსოფლიოში მშვიდობის მთავარი ბურჯი და მედროშეა. ამიტომ თავისი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებით ჩვენი ხალხი არა მარტო უზრუნველყოფს თავის თავს ყოველგვარი შემთხვევითობისა და მოულოდნელობისაგან, არამედ აგრეთვე ემსახურება მშვიდობის დაცვის დიად საქმეს, რომელიც შეესაბამება მთელი კაცობრიობის იმედებსა და მისწრაფებებს. „რა თქმა უნდა, აგრესორებს სურთ, — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, — რომ საბჭოთა კავშირი უიარაღო იყოს მათი თავდასხმის შემთხვევაში. მაგრამ საბჭოთა კავშირი ამის თანახმა როდია და ფიქრობს, რომ აგრესორს სავსებით მომზადებული უნდა დახვდეს“. ხელმძღვანელობს რა ამხანაგ სტალინის მითითებებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს საბჭოთა არმიას, სამხედრო-საზღვაო ფლოტსა და დაზვერვის ორგანოებს, რათა განუწყვეტლივ ვამაღლოთ ჩვენი მზადყოფნა იმისათვის, რომ გამანადგურებელი პასუხი გავცეთ ყოველ აგრესორს. საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა და ძლიერება იზრდება და მტკიცდება, კვლავაც გაიზრდება და განმტკიცდება!

კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში დიდი წარმმართველი, ხელმძღვანელი ძალაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თავიანთ მიმართვაში პარტიის ყველა წევრისადმი, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი აღნიშნავენ: „პარტიის რიგების ფოლადისებრი ერთიანობა და მონოლითური დარაზმულობა მისი ძალისა და ძლიერების მთავარი პირობაა. ჩვენი ამოცანაა თვალისჩინივით დავიცვათ პარტიის ერთიანობა, აღვზარდოთ კომუნისტები, როგორც აქტიური პოლიტიკური მებრძოლნი პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კიდევ უფრო განვამტკიცოთ პარტიის კავშირი ყველა მშრომელთან, მუშებთან, კოლმეურნეებთან, ინტელიგენციასთან, რადგან ხალხთან ეს განუყრელი კავშირია ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობა“.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ თუ ფხიზლად ვიქნებით, აუცილებლად დავამარცხებთ ჩვენს მტრებს მომავალში, ისევე როგორც ვამარცხებთ მათ ამჟამად და ვამარცხებდით წარსულში. ხელმძღვანელობს რა ამხანაგ სტალინის ამ მითითებებით, პარტიას თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია ის, რომ აღზარდოს კომუნისტები და ყველა მშრომელი მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით, შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში შეურიგებლობისა და სიმტკიცის სულისკვეთებით.

ამ დღეებში, როცა ჩვენი ხალხი ღრმად დამწუხრებული, მაგრამ სულის შეუდრეკელი მხნეობით და თავისი ძალებისადმი მტკიცე რწმენით კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავიანთ გაერთიანებულ სხდომაზე მიიღეს დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ორგანიზაციის მთელ რიგ ფრიად მნიშვნელოვან ღონისძიებებს. ამ ღონისძიებების მიზანია არ დავუშვათ რაიმე შეფერხება სახელმწიფო და პარტიული ორგანოების მუშაობის ხელმძღვანელობაში.

ამხანაგ სტალინის მიერ აღზრდილი მისი ერთგული მოწაფეები და თანამებრძოლები უზრუნველყოფენ იმას, რომ მტკიცედ და თანმიმდევრულად განახორციელონ პარტიის მიერ შემუშავებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ლენინ — სტალინის საქმე საიმედო და მტკიცე ხელშია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ნაცადი წინამძღოლობით ჩვენი ხალხი მტკიცე რწმენით გასწევს წინ — გამარჯვების სახელოვანი გზით, რომელიც დაგვისახა ამხანაგმა სტალინმა, მოახდენს მთელი ძალებისა და შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის.

ძვირფასი და საყვარელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში. სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის დიადი და ნათელი პროგრამა, რომლითაც ამხანაგმა სტალინმა შეაიარაღა პარტია და მთელი ჩვენი ხალხი, განხორციელებული იქნება.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, გმირი საბჭოთა ხალხის ბრძოლებში გამოწრთობილ ავანგარდს, ჩვენი ეპოქის გონებას, ღირსებასა და სინდისს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

„პრავდის“ 7 III მოწინავე.

## სსრ კავშირის სამხედრო სამინისტროსაგან

საბჭოთა არმიის ჯარისკაცები, სერჟანტები, ოფიცრები და გენერლები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდეს მწუხარებას განიცდიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხალხის ბრძენი [illegible]

ომის მკაცრი სამხედრო განსაცდელის წლებში ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გაფთრებულ ბრძოლებში ამხანაგ სტალინის მხედართმთავრულ გენიას ჩვენი საბჭოთა არმია გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავდა.

ამ გლოვის დღეებში თავისი საყვარელი [illegible]

## დადგენილება

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსი

ორშაბათს, ამა წლის 9 მარტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვის მომენტში, სრულ 12 საათზე მოსკოვის დროით მიცემულ იქნას საარტილერიო სალუტი მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში, აგრეთვე ქალაქებში: კალინინგრადში, ლვოვში, ხაბაროვსკსა და ვლადივოსტოკში.

დღის სრულ 12 საათზე ხუთი წუთით შეჩერდეს ყველა საწარმოს მუშაობა და რკინიგზის, სანაოსნო და საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, გარდა განუწყვეტელი მოქმედების საწარმოებისა.

დღის სრულ 12 საათზე სამი წუთის [illegible]

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

# იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
### ს ა ბ ჭ ო თ ა ა რ მ ი ი ს ჯ ა რ ე ბ ი ს ა დ მ ი

1953 წლის 8 მარტი № 35 ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო და გენერლებო!

მძიმე მწუხარება ეწია ჩვენს ხალხს, ჩვენს არმიას. გარდაიცვალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, [illegible] აღარა გვყავს გენიალური მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი ი. ბ. სტალინი.

სტალინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია ჩვენი პარტიისათვის, საბჭოთა ხალხისა და მისი არმიისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. ამხანაგმა სტალინმა მთელი თავისი სიცოცხლე განუყოფლად მოახმარა ხალხის საქმეს, კომუნიზმის მშენებლობის საქმეს. ლენინი და სტალინი ქმნიდნენ, ზრდიდნენ და აწრთობდნენ კომუნისტების მძლავრ პარტიას, ქმნიდნენ და განამტკიცებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს და მის შეიარაღებულ ძალებს.

დიდი სტალინის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა არმიის მთელი ისტორია და მისი გამარჯვებანი სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის წლებში. საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა თავიანთი უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ი. ბ. სტალინის წინამძღოლობით, მისი გენიალური გეგმებით [illegible] ფაშისტური გერმანია და იმპერიალისტური იაპონია, [illegible] ამხანაგო ჯარისკაცებო და სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო!

უფრო მჭიდროდ დავრაზმოთ ჩვენი რიგები კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

ვეთხოვებით რა ძვირფას და საყვარელ მასწავლებელს, ბელადსა და მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს, ფიცი დავდოთ, რომ დაუცხრომლად განვამტკიცებთ საბჭოთა არმიის საბრძოლო ძლიერებას, ავამაღლებთ მის ბრძოლისუნარიანობას და მუდმივ სიფხიზლეს, საიმედოდ დავიცავთ საბჭოთა ხალხის შემოქმედებით შრომას, ფხიზლად ვიდგომებით საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესების საგუშაგოზე.

საბჭოთა ხალხს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ მისი არმია, უკვდავი სტალინის ანდერძის ერთგული, მუდამ მზად არის ღირსეულად შეასრულოს თავისი წმიდა მოვალეობა საბჭოთა სამშობლოს წინაშე.

სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ა. ბულგანინი.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
### ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს ს ა მ ხ ე დ რ ო - ს ა ზ ღ ვ ა ო ძ ა ლ ე ბ ი ს ა დ მ ი

1953 წლის 8 მარტი № 21 ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო მატროსებო, ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

საბჭოთა სამხედრო მეზღვაურები ჩვენს პარტიასა და ხალხთან ერთად ღრმა მწუხარებით ხრიან თავიანთ საბრძოლო დროშებს უსაზღვროდ ძვირფასი მამისა და მასწავლებლის, დიდი მხედართმთავრის, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ნათელი ხსოვნის წინაშე.

ლენინმა და სტალინმა შექმნეს ჩვენი მძლავრი კომუნისტური პარტია, დააარსეს მსოფლიოში პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, მისი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

სამოქალაქო ომის წლებში ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით მოპოვებულ იქნა დიდი ისტორიული გამარჯვებანი ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მრავალ მტერზე.

გენიალურმა მხედართმთავარმა ამხანაგმა სტალინმა დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში მიიყვანა ჩვენი ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები ფაშიზმზე გამარჯვებამდე.

სტალინის უკვდავი სახელი მარად იცოცხლებს საბჭოთა ხალხისა და მისი მეომრების გულში.

ამხანაგო მატროსებო, ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

ჩვენი დიდი ბელადისა და მხედართმთავრის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის კუბოსთან ფიცი დავდოთ, რომ კიდევ უფრო დარაზმულად და ურყევად ვიდგომებით კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის გარშემო, ბოლომდე და პირნათლად შევასრულებთ ამხანაგ სტალინის ანდერძს — ვიქნებით შეურიგებელნი ჩვენი სამშობლოს მტრების მიმართ, დაუცხრომლად განვამტკიცებთ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერებას, ფხიზლად დავიცავთ ჩვენი სამშობლოს საზღვაო ზღუდეებს და საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას, საბჭოთა ხალხისა, რომელიც კომუნიზმს აშენებს ლენინ — სტალინის ყოვლისმძლე დროშით.

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრი ვიცე-ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი.

# დ ი დ ი ბ ე ლ ა დ ი ს კ უ ბ ო ს თ ა ნ

საბჭოთა ხალხი ეთხოვება მშრომელთა დიდ ბელადს. ბოლო არ უჩანს ადამიანთა ნაკადს, რომელიც მოსკოვის ქუჩებით მიდის კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზისაკენ, სადაც დასვენებულია ი. ბ. სტალინის ცხედარი. მწუხარე, გაუტეხელი დუმილით მიდიან ადამიანები ბელადის კუბოს წინ და ყოველი საბჭოთა ადამიანი, გრძნობს რა დიდ დანაკლისს, გულში იმეორებს ლენინ — სტალინის დროშისადმი ერთგულების ფიცს. ყოველ ადამიანს ებადება სურვილი უთხრას თავის თავს, პარტიას, რომ ამხანაგ სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში, რომ საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო მტკიცედ დარაზმავენ თავიანთ რიგებს პარტიის გარშემო, მთელ ძალებს დარაზმავენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის.

დილაადრიანია, მაგრამ კავშირების სახლის ახლომახლო ქუჩები სავსეა, ისე როგორც სავსე იყო მთელ ღამეს. ბევრი აქ მოვიდა სამუშაოდან. აქ არიან მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია, საბჭოთა არმიის მეომრები, საბჭოთა ხალხების დიდი ოჯახის წარმომადგენლები: რუსები და უკრაინელები, ბელორუსები და ქართველები, მზიური სომხეთის შვილები, შორეული იაკუტიის წარმომადგენლები.

დარბაზში შემოდის დელეგაცია მეტრომშენებლებისა, რომლებმაც სტალინური გეგმით ააგეს დედაქალაქში მიწისქვეშა სასახლეები — მსოფლიოში საუკეთესო მეტროპოლიტენი. უზარმაზარი გვირგვინი მოიტანეს მოსკოვის უნივერსიტეტის მშენებლებმა, სტალინური ეპოქის ერთ-ერთი დიდებული ნაგებობის შემქმნელებმა. მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციას შემოაქვს საბჭოთა კავშირის მეცნიერთა გვირგვინი, რომ მით შეამკოს მეცნიერების უდიდესი კორიფეს — ი. ბ. სტალინის კუბო.

დღეს იწყეს ჩამოსვლა მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციებმა, ოლქების წარმომადგენლებმა. სვეტებიან დარბაზში მოვიდნენ საბჭოთა უზბეკეთის წარმოგზავნილნი, რათა ცხადყონ უზბეკი ხალხის უდიდესი სიყვარული ამხანაგ სტალინისადმი, რომელსაც უზბეკეთი უნდა უმადლოდეს თავის აყვავებას. დელეგაციას შემოაქვს რამდენიმე უზარმაზარი გვირგვინი. ბელადის კუბოს წინ გაივლის ყაზახი ხალხის დიდი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან რესპუბლიკის ხელმძღვანელები, მუშები, კოლმეურნეები, მწერლები, მეცნიერები. ყაზახი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს, რომ ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით მოიპოვა თავისი ბედნიერება და თავისუფლება, გახდა მოწინავე საბჭოთა ერი. მოდიან კარელია-ფინეთის სსრ მშრომელთა წარმომადგენლები.

ადამიანთა ნაკადს ბოლო არ უჩანს. მოდიან ორჯონიკიძის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის, სტალინის სახელობის ქიმიური ქარხნის მუშები, ბალაშიხის რაიონის სკოლების მასწავლებლები, არქიტექტორები, კომპოზიტორები. მოდიან საბჭოების ქვეყნის ჭაღარით მოსილი შრომის ვეტერანები და ჭაბუკი მოქალაქეები, მამაკაცები და ქალები. ყოველ მათგანს გულში აქვს უსაზღვრო სიყვარული ლენინ — სტალინის პარტიისადმი, ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის უკვდავი საქმისადმი ერთგულების ფიცი.

დარბაზში შემოაქვთ მაო ძე-დუნის უზარმაზარი გვირგვინი. დიდი ჩინელი ხალხის წარმომადგენლები კუბოს ამკობენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის, ჯოუ ენ-ლაის, სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გვირგვინებით. ჩინელი მშრომელები გამოთქვამენ დიდ მწუხარებას ჩინელი ხალხის საუკეთესო მეგობრისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების გამო.

დარბაზში შემოდიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საელჩოებისა და მისიების წევრები.

კუბოს ამკობენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის გვირგვინებით. გვირგვინებზეა წარწერა: „ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის დიდ მასწავლებელსა და მეგობარს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს".

დარბაზში შემოაქვთ უნგრეთის მშრომელთა პარტიისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოების, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რუმინეთის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შრომის პარტიისა და მთავრობის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მისიის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გვირგვინები.

გვირგვინების წარწერები გამოხატავენ ამ ქვეყნების ხალხთა დიდ მადლობასა და სიყვარულს უკვდავი სტალინისადმი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადისა და საუკეთესო მეგობრისადმი.

კუბოსთან არიან დიპლომატიური კორპუსის წევრები, კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობათა მოსკოვში აკრედიტებული წარმომადგენლები. შემოაქვთ არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტის ხუან პერონის, არგენტინის რესპუბლიკის ელჩ ლ. ბრავოს, შვეიცარიის მისიის გვირგვინები.

გაისმის სამგლოვიარო მელოდიები. ყოველ ორ-სამ წუთში იცვლება საპატიო ყარაული. მას იწვევიან მოსკოვის პარტიული აქტივის წარმომადგენლები, მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერები, მწერლები, სამინისტროების ხელმძღვანელები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, საბჭოთა არმიის მარშლები და გენერლები, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ადმირალები. სამგლოვიარო ვახტაზე არიან საბჭოთა კავშირის სამგზის გმირები, სახელგანთქმული სტალინური შევარდნები პოკრიშკინი და კოჟედუბი, აკადემიკოსები სკობელცინი და ოპარინი, მწერლები ფადეევი და სურკოვი.

... ნაშუადღევის ოთხი საათია. ი. ბ. სტალინის კუბოსთან საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. მ. შვერნიკი.

მოდის დედაქალაქის იმ რაიონის დელეგაცია, რომელიც ამხანაგ სტალინის სახელს ატარებს. ამ რაიონის მშრომელებს არაერთგზის აურჩევიათ დიდი ბელადი სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების, მოსკოვის საბჭოს დეპუტატად. ამხანაგი სტალინი ორგზის გამოვიდა თავისი ამომრჩევლების წინაშე. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ელექტროქარხნის, საინსტრუმენტო, მანქანათმშენებელი ქარხნების სტახანოველები. ბევრი მათგანი მონაწილე იყო 1946 წლის 9 თებერვლის ისტორიული კრებისა, რომელზეც ამხანაგმა სტალინმა დასახა კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა.

კვლავ და კვლავ იცვლება საპატიო ყარაული. მას ეწვევიან სახელმწიფო მოღვაწეები, ჭაღარით მოსილი მეცნიერები, ნოვატორი მუშები, კოლმეურნეები. ბელადის კუბოსთან საპატიო ვახტზე იყვნენ წარჩინებული სტახანოველები ლიდა კონონენკო და მარიამ როჟნევა, ხუთასოვანი მემანქანე ვიქტორ ბლაჟენოვი, გამოჩენილი ჩქაროსანი ხარატი პავლე ბიკოვი, სოციალისტური შრომის გმირი, მოსკოვის მიდამოების სასოფლო-სამეურნეო არტელ „მებრძოლის" კოლმეურნე ამხ. კაშკინა და ბევრი სხვა.

საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. მიხაილოვი, პ. კ. პონომარენკო, ს. დ. იგნატიევი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ნ. შატალინი, მ. თ. შკირიატოვი, ა. მ. პუზანოვი, ა. გ. ზვერევი.

ჭეშმარიტად უსაზღვროა საბჭოთა ხალხის სიყვარული ამხანაგ სტალინისადმი. მაგრამ საერთო მწუხარებამ კიდევ უფრო დაუახლოვა ერთმანეთს საბჭოთა ადამიანები, კიდევ უფრო შეუსისხლხორცა ისინი პარტიას, რაზმავს მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. პარტიასა და ხალხს აქვთ ერთი მიზანი — მიიყვანონ ლენინ — სტალინის საქმე ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე.

სვეტებიან დარბაზში განუწყვეტლივ ისმის სამგლოვიარო მელოდიები.

გვიანი საღამოა. ხალხი მოდის და მოდის. რიგიდან ჩამოვიდა ლატვიელი ხალხის დელეგაცია. დარბაზში შემოაქვთ ახალი და ახალი გვირგვინები ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების მუშებისაგან, კოლმეურნეებისაგან.

მთელი ჩვენი ქვეყანა ეთხოვება დიდ ბელადს.

... შუაღამეა. ისევე როგორც დღისით, როგორც გუშინ, კვლავ განუწყვეტელ ნაკადად მოედინება ხალხი. დარბაზში შემოდის მოლდავეთის დელეგაცია. შემდეგ შემოდის უკრაინის დელეგაცია, რომელსაც შემოაქვს ცოცხალი ყვავილების ვეებერთელა გვირგვინი. ალისფერ ლენტს ოქროს ასოებით აწერია: „დიდ სტალინს. უკრაინელი ხალხისაგან".

საპატიო ყარაულში კვლავ დგებიან იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მებრძოლი თანამოსაგრეები და მოწაფეები — ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. მ. შვერნიკი.

... ღამის 3 საათია. საბჭოთა ადამიანები კვლავ და კვლავ მოდიან ი. ბ. სტალინის კუბოს წინ. (საკდესი).

## პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსაგან

ძვირფასო ამხანაგებო!

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს პროფკავშირთა წევრებს, ყველა მშრომელს [illegible] ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალებას.

[illegible]

[illegible] ლენინის მიერ ნაჩვენები გზით წაიყვანა ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი. ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით ჩვენი სამშობლო მოკლე ისტორიულ ვადაში გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ.

სამამულო ომის წლებში ამხანაგ სტალინის დიდმა გენიამ საბჭოთა ხალხი მიიყვანა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე.

სამ ათეულ წელიწადზე მეტ ხანს ამხანაგ სტალინს კომუნიზმის მშენებლობის გზით მიჰყავდა ჩვენი ქვეყანა.

ამხანაგმა სტალინმა პარტია და მთელი ხალხი შეაიარაღა სსრ კავშირში კომუნიზმის აშენების დიადი და ნათელი პროგრამით. ამხანაგ სტალინის უკვდავი საქმეები და დიადი იდეები მუდამ იცოცხლებენ ჩვენს გულში და გაგვინათებენ გამარჯვების გზას.

ამხანაგი სტალინი სათავეში ედგა და შთამაგონებელი იყო მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის სამართლიანი ბრძოლისა ომის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, კაცობრიობის ბედნიერებისათვის. საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად მწუხარებას იზიარებენ და აუნაზღაურებელ დანაკლისს გლოვობენ მთელი მსოფლიოს მშრომელები.

საბჭოთა ხალხს სავსებით შეგნებული აქვს, რომ ამჟამად, როცა ჩვენთან აღარ არის ამხანაგი სტალინი, განუზომლად გაძლიერდება ყოველი ჩვენგანის პასუხისმგებლობა კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმის წარმატებისათვის.

ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის უსაზღვროდ ერთგულია და მტკიცედ იცის, რომ ლენინ — სტალინის დიადი პარტია საბჭოთა ხალხს წაიყვანს ამხანაგ სტალინის მიერ ნაჩვენები გზით.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო მოუწოდებს პროფესიულ კავშირთა წევრებს, ყველა მშრომელს კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ კომუნისტური პარტიის გარშემო, ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, გააორკეცონ ენერგია კომუნიზმის აშენებისათვის, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

გეფიცებით, ჩვენო მხურვალედ საყვარელო ბელადო და მასწავლებელო, რომ საბჭოთა პროფკავშირები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაუცხრომლად იბრძოლებენ იმ საქმისათვის, რომელსაც შენ მთელი ძალღონე, მთელი სიცოცხლე მოახმარე.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის გმირ კომუნისტურ პარტიას, ლენინ — სტალინის პარტიას!

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ღრმად განიცდიან უმძიმეს დანაკლისს, რაც თავს დაატყდა ჩვენს პარტიასა და ქვეყანას — ამხანაგ ი. ბ. სტალინის გარდაცვალებას.

კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადისა და მასწავლებლის, ლენინის თანამებრძოლისა და მისი საქმის გენიალური განმგრძობის, საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზატორისა და ბრძენი ხელმძღვანელის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა გულში.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი პირობას აძლევენ კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომ რუსეთის ფედერაციის მშრომელები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, ამ გლოვის დღეებში კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან დიად ძმურ ოჯახში კომუნისტური პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, გამოიჩენენ ერთიანობასა და დარაზმულობას, სულის სიმტკიცეს, სიფხიზლეს და გაამრავლებენ თავიანთ ენერგიას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ასაშენებლად.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭო
რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

1953 წლის 6 მარტი.

## სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საბჭოთა ხალხს თავს დაატყდა უდიდესი უბედურება — გარდაიცვალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გენერალისიმუსი ი. ბ. სტალინი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადი და მასწავლებელი, მშვიდობის დიდი მედროშე.

დიდი სტალინის უკვდავი სახელი მუდამ შთააგონებს საბჭოთა დიპლომატიის მუშაკებს მათს ბრძოლაში მშვიდობისმოყვარე საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომი განმტკიცებისათვის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებთან ძმური მეგობრობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის, ყველა ქვეყანასთან საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და საქმიანი ურთიერთობისათვის, ახალი ომის წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
### ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს მ ი ნ ი ს ტ რ თ ა ს ა ბ ჭ ო ს ი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1953 წლის 9 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვის დღეს გლოვის ნიშნად დაწყებითს, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში მეცადინეობა არ იქნეს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

ბელორუსიის კომუნისტური პარტია, ბელორუსი ხალხი დიდად გლოვობენ ლენინის თანამებრძოლისა და მისი საქმის გენიალური განმგრძობის, სოციალისტური რევოლუციის დიდი სტრატეგის, საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის უდროოდ გარდაცვალებას.

დიდი სტალინის მთელი სიცოცხლე და მოღვაწეობა განუყრელად დაკავშირებულია ლენინის მოღვაწეობასთან, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიასთან, საერთაშორისო მუშათა მოძრაობასა და კოლონიური ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასთან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, მთელი პროგრესული კაცობრიობის ბრძოლასთან ხალხთა ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობისა და უშიშროებისათვის.

ლენინთან ერთად ამხანაგმა სტალინმა შექმნა და გამოზარდა მძლავრი კომუნისტური პარტია, მოამზადა და მოაწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, დააარსა მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფო.

განაგრძობდა რა ლენინის უკვდავ საქმეს, ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხი მიიყვანა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე. ჩვენი ეპოქის უდიდესი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ბრძნული და ნაცადი ხელმძღვანელობით გმირმა საბჭოთა ხალხმა დაიცვა ჩვენი სამშობლოს თავისუფლება, ღირსება და დამოუკიდებლობა, მოიპოვა გამარჯვება ფაშიზმზე მეორე მსოფლიო ომში.

ამხანაგმა სტალინმა პარტია და მთელი ხალხი შეაიარაღა სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის დიადი და ნათელი პროგრამით.

ამხანაგმა სტალინმა მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა კომუნიზმის საქმის თავდადებულ სამსახურს. მისმა გარდაცვალებამ უდიდესი ტკივილი გამოიწვია საბჭოთა ბელორუსიის მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენტების, ყველა მშრომელის გულში. ამხანაგ სტალინის უკვდავი სახელი სამარადისოდ იცოცხლებს ბელორუსი ხალხის გულში.

ლენინთან ერთად ამხანაგმა სტალინმა შექმნა ბელორუსიის საბჭოთა სახელმწიფო და იჩენდა დაუცხრომელ მამობრივ ზრუნვას ბელორუსი ხალხისათვის. საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში ბელორუსმა ხალხმა მიაღწია უმაგალითო პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ აყვავებას.

მთელ თავის წარმატებებს, თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ბელორუსი ხალხი, ისევე როგორც ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხი, უნდა უმადლოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, უკვდავ სტალინს.

ბელორუსი ხალხი სამარადისოდ უსაზღვროდ მადლიერი იქნება თავისი მშობლიური მამის, მასწავლებლის და მეგობრისა.

დიდი სტალინის ანდერძის ერთგული ბელორუსი ხალხი წმიდად დაიცავს ხალხთა სტალინურ მეგობრობას, დაუცხრომლად განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვას, ყოველი ღონისძიებით გააძლიერებს პოლიტიკურ სიფხიზლეს, კიდევ უფრო მტკიცედ შეამჭიდროებს თავის რიგებს ლენინ — სტალინის პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დარაზმავს მთელ თავის ძალებსა და შემოქმედებითს ენერგიას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის.

ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი,
ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭო,
ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

## საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომისაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საოლქო ორგანიზაცია, ოლქის ყველა მშრომელი დიდად გლოვობს კაცობრიობის გენიის, ლენინის საქმის დიდი განმგრძობის, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენი ბელადის, ჩვენი მშობლიური, ძვირფასი მამისა და მასწავლებლის — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალებას.

აღარ ცემს გული საყვარელი ბელადის — ამხანაგ სტალინისა, ვისი მთელი გმირული სიცოცხლე მოხმარდა ხალხის თავდადებულ სამსახურს, ჩვენი სამშობლოს აყვავებას, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

თბილისის ოლქის მშრომელებისათვის ამხანაგ სტალინის სახელი ძვირფასია იმიტომაც, რომ ნახევარი საუკუნის წინათ, მუშათა რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე დიდი სტალინი ხელმძღვანელობდა თბილისის პირველ მარქსისტულ წრეებს, მშრომელებს რაზმავდა მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ყოველივე საუკეთესო და ძვირფასი რამ, რაც ჩვენი ოლქის მშრომელებს, მთელ ქართველ ხალხს მოეპოვება, განუყრელად დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან. ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით აყვავდა საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობა და კულტურა.

ამ მწუხარების, გლოვის დღეებში, როდესაც აღარა გვყავს ამხანაგი სტალინი და როდესაც განუზომლად ძლიერდება ყოველი ჩვენგანის პასუხისმგებლობა კომუნისტური მშენებლობის წარმატებისათვის, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საოლქო ორგანიზაცია და ოლქის ყველა მშრომელი ფიცს დებენ, რომ კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მთელ თავიანთ ძალებსა და შემოქმედებით ენერგიას დარაზმავენ კომუნიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა მისაღწევად, იმ საქმის გასამარჯვებლად, რომელსაც მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შესწირა კაცობრიობის გენიოსმა — დიდმა სტალინმა.

თბილისის ოლქის კომუნისტების, ყველა მშრომელის გულში სამუდამოდ იცოცხლებს ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის მშობლიური და ძვირფასი, საყვარელი და დაუვიწყარი დიდი სტალინის უკვდავი სახელი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის
თბილისის საოლქო კომიტეტი,
თბილისის მშრომელთა დეპუტატების
საოლქო საბჭოს აღმასკომი.

## საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოსაგან

საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს პროფკავშირთა წევრებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს უდიდეს უბედურებას, რაც თავს დაატყდა საბჭოთა ხალხს — ჩვენი დიდი ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის, მხურვალედ საყვარელ ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალებას.

ამხანაგმა სტალინმა მთელი თავისი სახელოვანი გმირული სიცოცხლე შესწირა ხალხის, პარტიის, კომუნიზმის დიადი საქმის თავდადებულ სამსახურს.

ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ბელადი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი. განაგრძო რა ლენინის დიადი საქმე, ამხანაგმა სტალინმა მიიყვანა საბჭოთა ხალხი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე, შეაიარაღა პარტია და მთელი ხალხი კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამით, უჩვენა გზა კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ.

ლენინ — სტალინის დროშით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით ქართველმა ხალხმა მოიპოვა თავისუფლება, მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის აყვავებას, მოიპოვა შესანიშნავი გამარჯვებანი კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭო მოუწოდებს პროფესიულ კავშირთა ყველა წევრს, ყველა მშრომელს კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ კომუნისტური პარტიის გარშემო, სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, გაათორკეცონ ენერგია ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს პროფესიულ კავშირთა
რესპუბლიკური საბჭო.

## ძვირფასი სახელი

ეს რა თქვა, რა გვითხრა რადიომ?
არ მინდა ამ სიტყვის გამხელა.
არ ვიცი, როგორღა დავტიო
ჩემს გულში ქარ-ცეცხლი ამხელა!

ფრთები აქვს ამ სიტყვას საზარელს,
გაფრინდა — წაიღო გლოვის ხმა,
და მთელი პლანეტა ზანზარებს,
ცამ შავი ღრუბელი მოისხა.

ქვეყანას ალივით მოედო
რადიოს მოთქმა და ძახილი...
აიღე ჩონგური, პოეტო,
ადიდე სტალინის სახელი.

გვითხარი, რომ ელვა და ქარი
ვერ დასძრავს იალბუზს, ვერ დახრის.
წინ გვიძღვის ბელადი, აქ არი,
ყოველ წუთს გვამხნევებს, გვეძახის.

ქვეყანას მოედო ალივით
რადიოს მოთქმა და ძახილი.
სტალინი!... სტალინი!... სტალინი!...
ესოდენ ძვირფასი სახელი.

დასველდა რამდენი წამწამი!
სამშობლოვ, ცრემლები დაღვარე,
დროშები დათალხე და წამით,
უკვდავი შვილის წინ დახარე!

ალექსანდრე აბაშელი

## სტალინს — დიდ ბელადს

ახლა თვალს ძილი არ ეკარება,
ცის თაღი ელვებს დაუკაწრია...
დე გრძნობდეს მტერი, ეს მწუხარება
რარიგ მძლავრი და რარიგ მკაცრია!
გული კი არა, მიწაც გუგუნებს,
და ეს ტკივილი ვინ გაანელოს?
გულს ვინ მოურჩენს შენს საუკუნეს,
შენს ხალხს, შენს მოსკოვს, შენს საქართველოს!
სინათლე მაინც სიბნელეს აპობს,
ცრემლშეუშრობელ თვალს როცა ვახელთ,
როცა მოკუმულ ტუჩებით ვამბობთ
ლენინისა და სტალინის სახელს!
ეს წუთიც მხოლოდ სიცოცხლედ ითქმის,
მას ვინ დაარქვა სიკვდილი, ნეტავ?
ყველგან სტალინის ნაბიჯი ისმის,
ყველგან სტალინის მარჯვენას ვხედავთ!..
დიდო ბელადო! წუხილის დროსაც
ჩვენში ეს ერთი გრძნობა ანთია, —
ფრიალებს შენი წითელი დროშა,
და ხალხს წინ უძღვის შენი პარტია!

კარლო კალაძე.

## ამხანაგ ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი.

უდიდესი მღელვარებით მივიღე ცნობა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მძიმე დაავადების შესახებ, რასაც შეიძლებოდა უაღრესად სერიოზული შედეგები მოჰყოლოდა. და ახლა ეს ასრულდა. ჩვენთან აღარ არის ჩვენი სტალინი. ძნელია შევურიგდეთ ამ აზრს. და ამიტომ განსაკუთრებული ძალით გაისმის ჩემთვის სიტყვები, რომლებითაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა ამ უბედურებასთან დაკავშირებით პარტიის წევრებს, საბჭოთა კავშირის ხალხებს და მთელ საერთაშორისო მუშათა კლასს. პარტია ჩვენი საფუძველია. ასე იყო და ასე იქნება.

სტალინი ყველა ჩვენთაგანისათვის საუკეთესო მეგობარი და მასწავლებელი იყო. იგი მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის ბრძენი ბელადი იყო.

ჩემი ხალხისათვის იგი ამავე დროს მზრუნველი მამა იყო. გერმანელმა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადა. ეს მოხდა ისეთ დროს, როცა მიმართავენ ცდას მოუსპონ ჩემს ხალხს ერთიანი სამშობლო, ჩააბან იგი ომში. ახლა უფრო მჭიდროდ, ვიდრე ოდესმე, უნდა დაირაზმოს გერმანელი ხალხი დიდი საბჭოთა კავშირისა და მისი უძლეველი არმიის სამშვიდობო პოლიტიკის დროშის ქვეშ, რათა ერთხელ კიდევ არ ჩაითრიონ იგი ომში, რომელიც საშინელ შედეგებს მოიტანს.

ძვირფასო ამხანაგო ნ. მ. შვერნიკ! სიტყვები არ მყოფნის გამოვთქვა ჩემი მწუხარება ჩვენი ძვირფასი იოსებ ბესარიონის-ძის გარდაცვალების გამო.

ჩემი გრძნობები განუყოფელია იმ მწუხარებისაგან, რომელსაც განიცდით თქვენ, პარტია, საბჭოთა ქვეყნის მთავრობა და ხალხები.

ღრმა თანაგრძნობით
თქვენი ვილჰელმ პიკი.

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს

მოსკოვი.

გამოუთქმელ მწუხარებასა და დიდ გულისტკივილს განვიცდით ულმობელი ცნობით, რომ გარდაიცვალა მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი მასწავლებელი და ბელადი, ლენინის საქმის გენიალური განმგრძობი, ჩვენი ხალხის ყველაზე დიდი დამცველი და მეგობარი, უსაზღვროდ საყვარელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

ამ მძიმე მწუხარების დღეებში ბულგარელი ხალხი გლოვობს მთელი საბჭოთა კავშირის ძმებთან და დებთან ერთად, იგი თავის სრულ სოლიდარობას უცხადებს საბჭოთა ხალხს და ფიცსა სდებს მის მხარდამხარ იაროს ყველა ვითარებაში, იყოს ბოლომდე ერთგული სამარადისოდ უკვდავი მამის, მასწავლებლისა და ბელადის ანდერძისადმი, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისადმი, რომლის სათავეში ურყევად დგას საბჭოთა კავშირი.

ბულგარელთა დიდად მადლიერი თაობების გულში სტალინის სახელი მარად ცოცხალი იქნება.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვილკო ჩერვენკოვი.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის დეპეშა

## მის აღმატებულებას ბატონ შვერნიკს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მწუხარებით გავიგე ბატონ გენერალისიმუს სტალინის გარდაცვალების ამბავი. რესპუბლიკის სახელით ვუცხადებ თქვენს აღმატებულებას საფრანგეთის თანაგრძნობას. ყველას ხსოვნაში დარჩება თვალსაჩინო როლი, რაც მოკავშირე ერების ერთობლივი გამარჯვებისათვის ბრძოლაში შეასრულა თქვენმა შესანიშნავმა თანამემამულემ, რომელმაც საბჭოთა ხალხები წარმატებით გამოატარა ესოდენ ბევრ განსაცდელში.

ვენსან ორიოლი.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

მოსკოვი.

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

თქვენთან ერთად განვიცდით მწუხარებასა და გულისტკივილს იმის გამო, რომ გარდაიცვალა ჩვენი საყვარელი ბელადი და მასწავლებელი, მარქსის, ენგელსისა და ლენინის უკვდავი მოძღვრების შთაგონებული განმგრძობი, კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვარი, მშვიდობის მსოფლიო ბანაკის უძლეველი მედროშე, პოლონელი ხალხის დიდი მეგობარი, რომლის მეოხებით პოლონეთის მშრომელებმა მოიპოვეს თავისუფლება და მოიშორეს ეროვნული და სოციალური ჩაგვრის უღელი.

ამხანაგ სტალინის უკვდავი საქმე და ცხოვრება პოლონელი ხალხისათვის იქნება შთაგონება და გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი ყოველდღიურ შრომასა და ბრძოლაში ახალი სოციალისტური წყობილების აშენებისათვის, იქნება დროშა მთელი მსოფლიოს მშრომელთა მშვიდობის, პროგრესისა და თავისუფლების იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ეპოქის უდიდესი მებრძოლისა და გენიოსის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დროშით მჭიდრო რიგებად დარაზმულნი და სიფხიზლით შეიარაღებულნი, ჩვენ ფიცსა ვდებთ ვიყოთ მისი მოძღვრების ერთგულნი, ურყევად ვახორციელებდეთ ინტერნაციონალიზმისა და ყველა მშრომელის სოლიდარობის პრინციპს, ვიდგეთ ხალხის უფლებათა და მიღწევათა სადარაჯოზე, რომელთა ურღვევ გარანტიას წარმოადგენს საბჭოთა კავშირთან მარადიული მეგობრობა და ძმობა.

სიტყვას გაძლევთ, მეგობრებო და ამხანაგებო, რომ პოლონელი ხალხი არ დაზოგავს ძალღონეს, რათა გაამრავლოს და გააღრმავოს თავისი შემოქმედებითი წვლილი დიდი სტალინის მარად ცოცხალი იდეების, მოძღვრებისა და მითითებების განხორციელებისათვის საერთო ბრძოლაში.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და სახელმწიფო საბჭოს სახელით
ბოლესლავ ბერუტი,
ალექსანდრე ზავადსკი.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

დიდი გულისტკივილით გავიგეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ძვირფასი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების სამწუხარო ამბავი და ულრმეს სამძიმარს გიცხადებთ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი ხალხის სახელით. ჩეხოსლოვაკიის მშრომელნი ამ მომენტში ულრმესი მწუხარების გრძნობით ხრიან თავს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის კუბოს წინაშე და უსაზღვრო მადლიერებით იგონებენ მას როგორც ჩვენი სამშობლოს განმათავისუფლებელს გერმანიის ფაშიზმის უღლისაგან, როგორც ჩვენი ხალხების გულწრფელ მეგობარსა და ქომაგს. ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობა უდიდეს მწუხარებას და გულისტკივილს განიცდის. ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ნათელი, უჭკნობი ხსოვნა გვავალებს მთელი ძალღონით განვამტკიცოთ და გავაღრმავოთ ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა როგორც ჩვენი ქვეყნის უშიშროების, ძალისა და ბედნიერი მომავლის საწინდარი, ჩვენი ქვეყნისა, რომლისთვისაც ესოდენ ბევრი გააკეთა უკვდავმა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა.

ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასი და მთელი მშრომელი ხალხი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნის აღსანიშნავად კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავს თავის რიგებს, რათა ყველა მტრისაგან დაიცვას მშვიდობის ერთობლივი წმიდა საქმე და კიდევ უფრო მტკიცედ წავიდეს წინ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების გზით.

მარადიული დიდება და ხსოვნა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს, ჩეხოსლოვაკიის ხალხის განმათავისუფლებელსა და ჩეხოსლოვაკიის მშრომელი ხალხის დიდ მეგობარსა და მასწავლებელს!

დაე მაღლა ფრიალებდეს სტალინის დროშა, საყოველთაო მშვიდობისათვის, მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ კომუნიზმისათვის ბრძოლის დროშა!

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის სახელით
კლემენტ გოტვალდი,
ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის სახელით
ანტონინ ზაპოტოცკი.

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს

მოსკოვი, კრემლი

მიიღო რა ცნობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების შესახებ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უდიდესი მწუხარების გრძნობით შეიკრიბა დღეს სამგლოვიარო სხდომაზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და მთელი მოსახლეობა, აგრეთვე მთელი გერმანიის ყველა პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ადამიანი უდიდესი გულისტკივილით გლოვობენ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს, გერმანელი ხალხის საუკეთესო მეგობარს და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის დიდ მოწინავე მებრძოლს.

გენერალისიმუს სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით სახელოვანმა საბჭოთა არმიამ გაანადგურა ჰიტლერული ფაშიზმი და ამით გერმანელი ხალხიც გაათავისუფლა ფაშისტური მონობისაგან.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს იბრძოდა იმპერიალისტთა ზრახვების წინააღმდეგ — მოესპოთ გერმანია. იგი იბრძოდა ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი გერმანიის შექმნისათვის და ამის გზა დასახა პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებებში.

ამით მან შექმნა საფუძველი კონცერნებისა და იუნკერობის მოსპობისათვის, გერმანიის ყოფილ საოკუპაციო ზონაში ფართო დემოკრატიული განვითარებისათვის და დასავლეთის სახელმწიფოების მიერ გერმანიის გათიშვის შემდეგ ხელი შეუწყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას.

მძლავრი საბჭოთა კავშირისა და პირადად ჩვენთვის ძვირფასი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მუდმივი და დიდი დახმარების მეოხებით გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შეძლო შესდგომოდა სოციალიზმის მშენებლობის საფუძვლების შექმნას წარმოშობილი სახალხო საკუთრების ბაზაზე.

საგარეო პოლიტიკამ, რომელიც ხორციელდებოდა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხელმძღვანელობით, გაამხნევა და განამტკიცა გერმანელი ხალხი თავისი ერთიანობისა და საზავო ხელშეკრულებისათვის ბრძოლაში და შესაძლებლობა მისცა მას შესდგომოდა ამერიკის იმპერიალიზმის სამხედრო ხელშეკრულებათა პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის დიდი ეროვნული მოძრაობის შექმნას.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის მთავრობის განუწყვეტელმა ღონისძიებებმა, რომელთა მიზანი იყო გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის ოთხი სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევა, სამუდამოდ განამტკიცა ყველა გერმანელი პატრიოტის გულში საბჭოთა კავშირის ხალხებთან ურღვევი მეგობრობის ღრმა გრძნობა.

ყველა გერმანელი პატრიოტის სახელით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სთხოვს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს მიიღოს მისი ულრმესი თანაგრძნობა დიდი და ბრძენი სტალინის, ყველა მშრომელთა საყვარელი ბელადის გარდაცვალების გამო.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ყველა გულწრფელი პატრიოტი და მშვიდობის მომხრე არწმუნებენ საბჭოთა კავშირის ხალხებს თავიანთ ურღვევ მეგობრობაში და თავიანთ ურყევ გადაწყვეტილებაში — დაუცხრომლად იბრძოლონ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის, როგორც გვასწავლიდა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო,
პრემიერ-მინისტრი ოტო გროტევოლი.

# იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

## უდიდესი დანაკლისი

სუხუმი. (საკ. კორ.). გამოუთქმელია აფხაზეთის მშრომელთა მწუხარება. არ შეიძლება სიტყვით გამოიხატოს ის ტკივილი, რომელმაც დაისადგურა ყველა ადამიანის გულში, როდესაც რადიომ გადმოსცა ცნობა ლენინის ერთგული თანამებრძოლის და მისი საქმის გენიალური განმგრძობის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების შესახებ.

ფაბრიკა-ქარხნებმა, საწარმო-დაწესებულებებმა დახარეს თავიანთი დროშები. ძაძით შეიმოსა ქუჩები, პროსპექტები.

გულისტკივილით მოისმინეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა სტალინის სახელობის სუხუმის თამბაქოს ფაბრიკის ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მუშა-მოსამსახურეებმა. სამგლოვიარო მიტინგზე საჰილზე საამქროს ოსტატმა აგრაფინა ძიძარიამ განაცხადა:

— ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვენგან წავიდა საყვარელი ბელადი დიდი სტალინი, საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვარი. გონება ვერ ურიგდება იმას, რომ დღეიდან ვეღარ ვნახავთ მშობლიურ სტალინს, ვერ მოვისმენთ მის მშობლიურ დარიგებას.

სტახანოველმა რაისა მიკადოროვამ და მექანიკოსმა დიმიტრი ჩერნიშევმა, ილაპარაკეს რა ამხანაგ სტალინის უდიდეს დამსახურებაზე მსოფლიოს მშრომელთა წინაშე, აღნიშნეს, რომ მისი გარდაცვალებით პარტიას და მთელ საბჭოთა ხალხს თავს დაატყდა განუზომელი მწუხარება. შეწყდა კაცობრიობის უდიდესი გენიოსის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მაჯისცემა. ამ მწუხარე ჟამს ჩვენ კიდევ უფრო დავირაზმებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის გარშემო. მთელ ძალღონეს მოვახმართ ლენინ — სტალინის იდეების განხორციელების, კომუნიზმის გამარჯვების საქმეს.

ხალხმრავალი სამგლოვიარო მიტინგები გაიმართა ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში, საკონდიტრო ფაბრიკაში, საკონსერვო ქარხანაში და სხვაგან.

სამგლოვიარო მიტინგებზე მშრომელები საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე იღებენ სამძიმრის დეპეშებს, სადაც უდიდეს მწუხარებას გამოთქვამენ დიდი სტალინის გარდაცვალების გამო, ამასთან პირობას იძლევიან, რომ კიდევ უფრო განამტკიცებენ თავიანთ რიგებს და თავდადებულად იბრძოლებენ იმ დიადი მიზნის განხორციელებისათვის, რომლისკენაც საბჭოთა ხალხი მიჰყავდა საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

## ლენინ — სტალინის პარტიის დროშით

თბილისი. 6 მარტის დილა. მწუხარება მოუცავს რესპუბლიკის დედაქალაქს. შავ არშიაშემოვლებული წითელი დროშები გვამცნობენ უბედურებას, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას, პროგრესულ კაცობრიობას.

შეწყდა ლენინის თანამებრძოლის და მისი საქმის გენიალური განმგრძობის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადის და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გულისცემა.

საყოველთაო-სახალხო მწუხარებას მოუცავს ყველაფერი. ეს მწუხარება ღრმად დასჩენია სახეზე დიდსა თუ პატარას, მოხუცსა თუ ახალგაზრდას.

იმართება სამგლოვიარო მიტინგები: ამ მძიმე დღეებში ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში ადამიანები მთელი შეგნებით დებენ პირობას, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან ლენინ — სტალინის პარტიის გარშემო, თავდადებული შრომით ახალ და ახალ წარმატებებს მიაღწევენ დიდი სტალინის მიზანდასახულობათა განხორციელების საქმეში, კომუნიზმისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ამ შეგნებით იყო გამსჭვალული თვითეული ადამიანი სამგლოვიარო მიტინგზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში. მკაცრ სიჩუმეს მოუცავს სხდომათა დარბაზი, სადაც თავი მოუყრიათ მეცნიერების წარჩინებულ ადამიანებს — აკადემიკოსებს, პროფესორებს, მეცნიერ მუშაკებს, აკადემიის თანამშრომლებს.

სამგლოვიარო მიტინგს ხსნის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პარტბიუროს მდივანი დოცენტი ნ. მახარაძე. მან დამსწრეთ გააცნო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა პარტიის ყველა წევრისადმი, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი.

სიტყვას ამბობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი.

— უდიდეს მწუხარებას განიცდიან საბჭოთა კავშირის ხალხები, მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანი, — ამბობს იგი. — საქართველოს მეცნიერები მთელ ქართველ ხალხთან ერთად, მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან ერთად, მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი ლენინ — სტალინის დიადი პარტიის გარშემო და შეასრულებენ თავიანთ წმიდათა-წმიდა მოვალეობას, მტკიცედ გაჰყვებიან იმ გზას, რომელიც გენიალური სიცხადით დაგვისახა ამხანაგმა სტალინმა, გზას, რომელსაც მივყავართ კომუნიზმისაკენ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ა. ბარამიძე ამბობს: — მთელი საბჭოთა ხალხი გრძნობს ამ უბედურების სიმძიმეს. ამ მძიმე დღეებში თვითეული ჩვენგანის ვალია გამოვიჩინოთ უდიდესი ერთიანობა და მჭიდრო დარაზმულობა, სიმტკიცე და სიფხიზლე, რათა ერთგულად და თავდადებულად ვემსახუროთ ამხანაგ სტალინის დიად საქმეს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეს, მშვიდობის საქმეს.

— გარდაიცვალა ადამიანი, რომელმაც დიდ ლენინთან ერთად დააარსა სოციალისტური სახელმწიფო, ადამიანი, რომელმაც დიდ ლენინთან ერთად შექმნა და ბრძოლებში გამობრძმედა ყოვლისმძლე კომუნისტური პარტია, — ამბობს ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ქ. ლომთათიძე. — საბჭოთა ხალხი დღეს კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმება თავისი საყვარელი კომუნისტური პარტიის გარშემო და იბრძოლებს ახალი წარმატებებისათვის კომუნიზმის მშენებლობის ყოველ უბანზე. საბჭოთა მეცნიერები, შეიარაღებულნი მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით, დიდი სტალინის გენიალური ნაშრომებით, კიდევ უფრო გააძლიერებენ თავიანთ სიფხიზლეს მტრული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, გააათკეცებენ თავიანთ ცოდნასა და ენერგიას, რათა საბჭოთა მეცნიერება წარმატებით ემსახურებოდეს მშრომელი კაცობრიობის კეთილდღეობის საქმეს.

მიტინგზე მგზნებარე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა გ. გობეჯიშვილმა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა პროფესორმა გ. ძოწენიძემ.

სამგლოვიარო მიტინგმა სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

## საბჭოთა ქალები კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმებიან ლენინ — სტალინის პარტიის გარშემო

ლენინ — სტალინის პარტიის მიერ აღზრდილი ჩვენი ადამიანები, მათ შორის მშრომელი ქალები, რომლებიც ახალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობით აღნიშნავენ ქალთა საერთაშორისო დღეს, ამ საყოველთაო გლოვის დღეებში კიდევ უფრო მტკიცედ ირაზმებიან ლენინ — სტალინის პარტიის გარშემო, ამჭიდროებენ თავიანთ რიგებს. მათ კარგად იციან, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკა შეესაბამება მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს.

საბჭოთა ადამიანები მრავალი წლის გამოცდილებით, კომუნისტური პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობის მაგალითით დარწმუნდნენ, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის საგანს ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს მოსახლეობის ყველა ფენის — მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება, მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს ქალთა თანასწორუფლებიანობა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში. ოქტომბრის რევოლუციამ საბჭოთა ქალი გამოიყვანა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო გზაზე; დამცირებული, ჩამორჩენილი, ჩაგრული არსებიდან იგი გადააქცია შეგნებულ სრულუფლებიან საბჭოთა მოქალაქედ. არ არსებობს ჩვენი სამშობლოს ისეთი მიღწევა, რომელშიც მნიშვნელოვანი წილი არ ედოს საბჭოთა ქალს, არ არის ისეთი პროფესია, რომელსაც წარმატებით არ დაეუფლებოდეს საბჭოთა ქალი.

ლენინ — სტალინის პარტიამ აღზარდა, კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკულ ბრძოლებში გამოაწრთო მრავალმილიონიანი ქალთა არმია, განუვითარა მას მაღალი მორალური თვისებები.

საბჭოთა ქალი აქტიურად მონაწილეობდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნაში, იგი გმირულად იბრძოდა სამამულო ომის დღეებში ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის და თავდადებით შრომობს კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ჩვენი ქვეყნის 280 ქალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, 2.209 ქალი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატი, ხოლო ნახევარ მილიონზე მეტი ქალი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია. 900 ათასს აღემატება უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტ ქალთა რაოდენობა. ქალები თავდადებით შრომობენ მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის დარგებში, კულტურის ფრონტზე. საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მინიჭებული აქვს 2.334 ქალს. 800 ათასზე მეტი ქალი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ქალი-დედა მუდმივი ზრუნვით არის გარემოსილი ჩვენს ქვეყანაში. 38 ათასზე მეტ ქალს მინიჭებული აქვს „გმირი-დედის" საპატიო წოდება, „სახელოვანი დედის" ორდენით და „დედობის მედლით" დაჯილდოებულია 3 მილიონ 800 ათასზე მეტი ქალი. ყოველწლიურად ეძლევათ მილიარდობით მანეთი დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს. არსად ისე არ ყოფილა დაფასებული ქალი, როგორც ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა ქალს აქვს აყვავებული სოციალისტური სამშობლო, რომელიც აღწევს მძლავრ აღმავლობას კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. საბჭოთა კავშირის სამრეწველო წარმოების მოცულობა 1951 წელს 1929 წელთან შედარებით თითქმის 13-ჯერ გადიდდა. სოფლის მეურნეობაში გადაჭრილია მარცვლეულის უმნიშვნელოვანესი პრობლემა, აყვავებას განიცდის საბჭოთა კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა. ყოველივე ამაში დიდია საბჭოთა ქალის როლი და წვლილი.

მაშინ როცა ჩვენი მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობა, მთელი ჩვენი სამშობლო, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი მძლავრ აღმავლობას განიცდის, კაპიტალისტური ქვეყნების საწარმოო ძალები ერთ ადგილს ტკეპნიან ან დაღმავალი გზით მიექანებიან. სულ უფრო ღრმავდება მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის კრიზისი და წინააღმდეგობა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. კაპიტალის ქვეყნებში მკვეთრად ეცემა მშრომელთა საარსებო დონე ფართო მოხმარების საგნებზე ფასების გადიდების, რეალური ხელფასის შემცირების გამო. აუტანელ პირობებში ცხოვრობენ მუშები და მუშა-ქალები, იზრდება უმუშევრობა და ნახევრადუმუშევრობა, დღითიდღე ღატაკდება სოფლის მოსახლეობა.

კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ექსპლოატირებულ მასებს შორის ყველაზე მეტ დამცირებას, უუფლებობასა და ჩაგვრას განიცდიან მშრომელი ქალები. ისეთ ტიპიურ იმპერიალისტურ სახელმწიფოებში, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისია, ქალი მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს, იგი მამაკაცის თანაბრად შესრულებული სამუშაოსათვის გაცილებით ნაკლებ ხელფასს იღებს. არ არსებობს შრომის დაცვა, არავინ ზრუნავს დედისა და ბავშვის ჯანმრთელობაზე.

ეკონომიკურად შევიწროებული და პოლიტიკურად დამონებული კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ქალები მამაკაცებთან ერთად სულ უფრო აძლიერებენ ბრძოლას თავიანთ მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

ლენინი და სტალინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კაცობრიობის ნახევარი ნაწილის — ქალების აქტიურ ჩაბმას თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

დიდი სტალინის მიერ ნაჩვენები გზით, მისი უშუალო ხელმძღვანელობით და მზრუნველობით ჩვენი ქვეყნის ქალებმა უდიდესი გამარჯვებები მოიპოვეს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, ამასთან ისინი აფართოებენ და განამტკიცებენ ინტერნაციონალურ კავშირს მთელი მსოფლიოს ქალებთან, ხელს უწყობენ მძლავრი დემოკრატიული ფრონტის განმტკიცებას, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის გაძლიერებას.

ჩვენი სამშობლოს წარმატებებით გაბოროტებული იმპერიალისტთა ბანაკი ცდილობს ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებას, ჩვენი დიადი სამშობლოს ისტორიული მონაპოვრის ხელყოფას. ის სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში გზავნის ჯაშუშებს, დივერსანტებს, ცდილობს ძირი გამოუთხაროს ჩვენს ძლიერებას. მაგრამ მტერი მიზანს ვერ მიაღწევს. იგი ისტორიის მიერ განწირულია დასამარცხებლად.

საბჭოთა ქალები, რომლებიც ამჟამად გლოვის მძიმე დღეებს განიცდიან საყვარელი, ბრძენი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების გამო, კიდევ უფრო შემჭიდროვდებიან კომუნისტური პარტიის გარშემო, უფრო მეტ სიმტკიცესა და პოლიტიკურ სიფხიზლეს გამოიჩენენ შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, მოახდენენ მთელი თავიანთი ძალებისა და შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციას ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის და ლენინ — სტალინის პარტიის დროშით, დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის მიერ ნაჩვენები გზით მტკიცედ გასწევენ წინ კომუნიზმის დიადი მწვერვალებისაკენ.

## გლოვის დღეები სამხრეთ ოსეთში

სტალინირი. (საკ. კორ.). ოლქის მშრომელებმა განსაკუთრებული გულისტკივილით მოისმინეს რადიოთი გადმოცემული სამწუხარო ცნობა მშობლიური და საყვარელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების შესახებ. უსაზღვროა ხალხის მწუხარება. ძნელია შეურიგდე აზრს, რომ აღარ სცემს მგზნებარე გული მშრომელთათვის ყველაზე ძვირფასი ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის კეთილდღეობას მოახმარა.

ლიახვისა და ქსნის ხეობაში, მთის ყველაზე შორეულ სოფლებში, ყველა ოჯახში ენით გამოუთქმელი მწუხარებაა.

სტალინირის ხე-ტყის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა სამგლოვიარო მიტინგზე საწარმოს მოწინავე ადამიანმა ზაქარია გაზაევმა განაცხადა:

— ჩვენ თავს დაგვატყდა უდიდესი უბედურება — გარდაიცვალა ადამიანი, რომელმაც მთელი სიცოცხლე მოახმარა მსოფლიოს მილიონობით მშრომელის კეთილდღეობისათვის, ჩვენი დიდი სამშობლოს აყვავებისათვის ზრუნვას. სტალინის ძვირფასი სახელი აღბეჭდილია თვითეული ჩვენგანის გულში. განუზომელია ჩვენი მწუხარება. სტალინისადმი წმიდა სიყვარული, სამშობლოსადმი წმიდა სიყვარული გვავალებს გამოვიჩინოთ სრული სიმტკიცე, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით მოპოვებულ დიად ცხოვრებას, კიდევ უფრო შევმჭიდროვდეთ ლენინისა და სტალინის მიერ აღზრდილი და გამოწრთობილი სახელოვანი კომუნისტური პარტიის გარშემო, მთელი ჩვენი ძალღონე მოვახმაროთ კომუნიზმის გამარჯვების დიად საქმეს.

მიტინგზე ამაღელვებელი სიტყვებით გამოვიდნენ კომბინატის სტახანოველები ა. მაისურაძე, გ. სომხიევი, ნ. ტიბილოვა და სხვები.

ბელადის სახელობის ქალაქის — სტალინირის ქუჩებში შენობებზე მოჩანს შავარშიანი დროშები. მუსიკის სევდიანი ხმა ეფინება სივრცეს. სამხრეთ ოსეთში ყველა გულისტკივილით იმეორებს უძვირფასეს სახელს: სტალინი! და, ყველა ფიცსა სდებს, რომ სამუდამოდ დარჩება სტალინისადმი უსაზღვროდ ერთგული და თავდადებული, რომ სამშობლოს სახელით, სტალინის სახელით იბრძოლებს მშვიდობისათვის, კომუნიზმისათვის.

## სტალინი მუდამ ჩვენთან იქნება

მოდიან ადამიანები ჩუმად, ჩაფიქრებულნი, მწუხარე სახეებით. ირგვლივ სამგლოვიარო დუმილია გამეფებული. ყველას გულში მძიმე ნაღველია — აღარა გვყავს მშობლიური სტალინი!

სამგლოვიარო მიტინგზე მოსულა თბილისის საელმავლო დეპოს მთელი კოლექტივი. სიტყვას ამბობს მემანქანე ვასილ სახელაშვილი...

ბელადის ავადმყოფობის მძიმე დღეებში სახელაშვილი დიდი გადაჭარბებით ასრულებდა შეკეთებათაშორისი გარბენის გეგმას. ჩვენ სწორედ ახლა გვჭირდება სულიერი სიძლიერე და ენერგიის გამოვლენაო, — ამბობდა მოწინავე მემანქანე.

ახლა კი აქ, სამგლოვიარო სხდომაზე, შეჭაღარავებული, მხნე ვაჟკაცი მტკიცე რწმენით ამბობს:

— რამდენადაც მძიმეა დიდი ბელადის გარდაცვალებით გამოწვეული დანაკლისი, იმდენად მტკიცე რწმენით ვართ გამსჭვალულნი — მთელი ჩვენი სიცოცხლე არ დავზოგოთ ლენინ — სტალინის დიადი იდეების განხორციელებისათვის.

ტრიბუნიდან გაისმის კომუნისტური პარტიისადმი ერთგულებისა და მტკიცე ფიცის სიტყვები, ლაპარაკობენ უბრალო ადამიანები: აწევითი საამქროს მოწინავე ოსტატი ილია ტიურინი, ელექტროშემდუღებელი ავთანდილ გურგენიძე, მემანქანის თანაშემწე, კომკავშირელი მიხეილ ქვირია და სხვები.

— არა, არ მინდა დავიჯერო, რომ სტალინი ჩვენთან აღარ არის, — ლაპარაკობს ილია ტიურინი, — ის ხომ ახლახან გვესაუბრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ტრიბუნიდან. დიდი ბელადისა და მასწავლებლის სახელი მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში, სტალინი მუდამ ჩვენთან იქნება! ამ უდიდესი მწუხარების ჟამს დავდოთ ფიცი, რომ მთელ ჩვენს ძალებსა და ენერგიას მოვახმართ მშობლიური სტალინის მიერ დასახული დიადი ამოცანების განხორციელებას.

## მანქანათმშენებელთა ფიცი

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდეს მწუხარებას მოუცავს თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი. ყოველი მუშა, ინჟინერი, მოსამსახურე გლოვობს საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის, ლენინის საქმის გენიალური განმგრძობის ამხანაგ სტალინის გარდაცვალებას.

6 მარტს, საღამოს 5 საათზე მანქანათმშენებლები სამგლოვიარო მიტინგზე შეიკრიბნენ. ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ო. ვადაჭკორიამ შეკრებილთ გააცნო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა პარტიის ყველა წევრისა და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი.

ყველა სმენად არის გადაქცეული. ტრიბუნაზეა ქარხნის წარჩინებული მჭედელი ვასილ კორძაძე.

— არ ვიცი რა ვთქვა, — ამბობს იგი, — გული ვერ იტევს მწუხარებას ჩვენი მამისა და მასწავლებლის, საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის გარდაცვალების გამო. დიდმა სტალინმა შეგვიქმნა სასიხარულო და საამური ცხოვრება. მისი ხელმძღვანელობით ჩვენ ავაშენეთ სოციალისტური საზოგადოება. მან შეგვაიარაღა კომუნიზმის მშენებლობის დიადი და ნათელი პროგრამით. ფიცსა ვდებთ, საყვარელო ბელადო და მასწავლებელო, რომ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, თქვენ მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში. — მთელს ჩემს მუშაობაში და ცხოვრებაში, — განაგრძობს იგი, — მუდამ წინ მედგება დიდი სტალინის სახელი. მივაღწევ იმას, რომ ვიმუშაო უკეთესად. თუ მანამდე 300 პროცენტით ვასრულებდი თვიურ დავალებას, მომავალში 400-ზე მეტი პროცენტით გავანაღდებ.

— არ მინდა დავიჯერო, — ამბობს ქარხნის ძველი კომუნისტი მუშა ალექსი ზაკომოლდინი, — რომ გარდაიცვალა მთელი მსოფლიოს მშრომელთა იმედი, გენიალური ბელადი ამხანაგი სტალინი. მისი ბიოგრაფია, მოღვაწეობა ნათელი მაგალითია უანგარო, თავდადებული ბრძოლისა ხალხთა ბედნიერებისათვის, კომუნიზმისათვის. თავის ახალ გენიალურ შრომაში — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", ამხანაგმა სტალინმა მოგვცა კომუნიზმის მშენებლობის გენიალური სამოქმედო პროგრამა. ფიცი დავდოთ, ამხანაგებო, რომ ენერგიას არ დავიშურებთ დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანების განუხრელად შესრულებისათვის.

გულშიჩამწვდომი, ამაღელვებელი სიტყვები წარმოთქვეს საამწყობო საამქროს უფროსმა ა. გილკინოვამ, ა. კუშნერმა და ი. ხატისოვამ. ისინი ულრმეს მწუხარებას გამოთქვამდნენ იმ ადამიანის გარდაცვალების გამო, ვინც ლენინთან ერთად შექმნა, აღზარდა და გამოაწრთო კომუნისტების მძლავრი პარტია, ვინც ლენინთან ერთად დააარსა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, ვინც საბჭოთა ხალხი მიიყვანა სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე.

## კოლმეურნეთა სიტყვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ცნობამ ამხანაგ სტალინის გარდაცვალების შესახებ უსაზღვროდ დაამწუხრა თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ დიღმის — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელები.

კოლმეურნეობის კლუბის წინ რვაასზე მეტი კაცი შეიკრიბა. სამგლოვიარო მიტინგს ხსნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ბ. დოლიძე.

— ამხანაგებო, — ამბობს საქართველოს კომპარტიის თბილისის გარეუბნის რაიკომის მდივანი ამხ. დ. გელაშვილი, — გარდაიცვალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ჩვენი დიდი ბელადი და ბრძენი მასწავლებელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. დიდი სტალინის სახელი ძვირფასია საბჭოთა ხალხისათვის, მსოფლიოს ყველა მშრომელისათვის. ამხანაგ სტალინის დაკარგვა უდიდესი დანაკლისია კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის.

ჩვენ, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა, კიდევ უფრო უნდა შევამჭიდროოთ ჩვენი რიგები დიადი კომუნისტური პარტიის გარშემო, ვიმუშაოთ გაორკეცებული ენერგიით სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა მემინდვრეობის მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. დ. მარიამოვმა.

— დიდი სტალინის სახელი, — თქვა მან, — მამაცობისა და გმირობის სიმბოლოა საბჭოთა ადამიანებისათვის. იგი მოწოდებაა ახალი გმირული საქმეებისაკენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის დიად ბრძოლაში. ჩვენ, კოლმეურნეები, გაორკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ საკოლმეურნეო მინდვრებში. ბრიგადის სახელით ვკისრულობ 320 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ გასულ წელთან შედარებით 8 ცენტნერით მეტი ხორბალი და ამით ღირსეული წვლილი შევიტანოთ სტალინური დავალების წარმატებით შესრულების საქმეში.

— ამხანაგ სტალინის გარდაცვალებამ, — განაცხადა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატმა, კოლმეურნემ ამხ. მ. სოზიაშვილმა, — ღრმა მწუხარება გამოიწვია კოლმეურნეებში. ძნელია შეურიგდე იმ აზრს, რომ შეწყდა ამხანაგ სტალინის გულისცემა. ჩვენ, კოლმეურნეები, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საგრძნობლად გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გადაჭარბებით შევასრულოთ მშობლიური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ყველა დავალება.

## კორეის ამბები

### სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 6 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები განვლილი დღის მანძილზე კიმხვისა და კვანდერის რაიონში გააფთრებულ თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

მოწინააღმდეგემ დაახლოებით ერთი პოლკის ძალებით საარტილერიო ცეცხლის დახმარებით ზედიზედ 4-ჯერ მოიტანა გააფთრებული იერიში კეინსანის მთის მაღლობის ჩრდილოეთ ნაწილზე, მაგრამ ზარალი ნახა და უკუქცეულ იქნა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 4 თვითმფრინავი.

## საომარი მოქმედება გომინდანელთა ბანდების წინააღმდეგ ბირმაში

პარიზი, 5 მარტი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო, იმოწმებს რა ინდოეთის რადიოს გადაცემას, იუწყება, რომ ბირმაში საომარი მოქმედება წარმოებს გომინდანელთა ბანდების წინააღმდეგ, როგორც ამ ცნობიდან ჩანს, გრძელდება ბირმის ჯარების შეტევა გომინდანელთა ბანდების წინააღმდეგ.

შეტევა მიმდინარეობს სამი პუნქტის წინააღმდეგ, რომლებიც ხელთ იგდეს ჩანკაიშელთა ბანდებმა. ეს პუნქტები მდებარეობენ ჩინეთის საზღვართან ბირმის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები. რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03 3-82-05. პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-81-84, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის — 3-06-88, მშრომელთა წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81; გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-79.

უე 09969 ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი".